პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 53 (4563)

16 მარტი, ხუთშაბათი. 1972 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## გმირის ხსოვნა არ დავივიწყებიათ

ჩერნოვცში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა ტრადიციული ტურნირი. შეჯიბრება მიეძღვნა სოხუმის აეროპორტის ბორტგამყოლ ნადია კურჩენკოს ხსოვნას, რომლის გმირობასაც საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს. მოედნის მასპინძლებს გარდა ხარბიელზე გამოვიდნენ უკრაინის სხვა ოლქებისა და მოლდავეთის ტექნიკუმების წარმომადგენლები.

გარდამავალი პრიზი დაისაკუთრა ჩერნოვცის კოოპერაციული ტექნიკუმის გუნდმა. ამ კოლექტივსა და ტურნირის საუკეთესო ფრენბურთელს, ბენდერის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლე ლ. ნოვარს საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის სიგელები გადაეცათ. (საკდესი).

## მშდ მოზრძანდა სკოლაში

**უველაფერი დროულად გაკეთდა ● ნორმატივების მიმღები კომისიის კარგი საქმეები ● დირექტორის მხარდაჭერით ● კოლექტივის მისაბაძი გადაწყვეტილება**

მისი უდიდებულესობა — მშდ ახალი კომპლექსი ზარ-ზეიმით მობრძანდა თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში. სასურველი სტუმრის შესახვედრად მზადება ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინ დაიწყო, როცა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. ღლონტმა მოსწავლეებს დაწვრილებით გააცნო კომპლექსის პროექტი.

დროულად დადგინდა ასაკობრივი სიები, მომზადდა უწყისები და ჩათვლის ბარათები, თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრეს დებულება და ნორმატივები. არც სპორტული ინვენტარის შეძენა დავიწყებიათ. უფრო მიმზიდველი გახდა სკოლის სპორტული ბაზა. კომპლექსისთვის მასპინძლობის გასაწევად ფიზკულტურის კოლექტივს დიდი დახმარება აღმოუჩინა სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. კობახიძემ.

ნორმატივების მიმღები კომისია, რომელშიც ფიზაღზრდის მასწავლებელთა გარდა ექიმი, პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც შედიან, ორი კვირაა ნამდვილ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. მარტო 1 მარტს 60-მდე მოზარდმა ჩააბარა ნორმატივები ტანვარჯიშში. ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკა. მომავალმა სპეციალისტებმა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის თ. სანებლიძის ხელმძღვანელობით სპორტულ დღესასწაულად აქციეს მშდ-ს ნორმატივების ჩაბარება. მათი დახმარების შედეგია, რომ მოსწავლეთა 50 პროცენტს სანორმატივო მოთხოვნების ნახევარი უკვე ჩაბარებული აქვს.

ვათვალიერებთ უწყისებს. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის უნარიანად წარმართვით ეს სკოლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი. მოსწავლეთა მაღალი ფიზიკური მომზადება ახლა ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე კომპლექსის სანორმატივო მოთხოვნების ჩამბარებელთა სიმრავლეშიც გამოისახა.

„დღეს გაკვეთილი ჩავატარეთ X კლასში. თ. კოდელაშვილმა, ს. ყურულაშვილმა და ზ. ამირიძემ ოქროს ნიშანზე ჩააბარეს ნორმატივები", ჩაუწერია 3 მარტის დღიურში სტუდენტ-პრაქტიკანტს, სპორტის ოსტატ ჯ. დუშმანიშვილს.

10 მარტს VIII კლასში პრაქტიკანტ ი. ჩიხლაძის გაკვეთილზე სიმაღლეზე ხტომაში საუკეთესო შეფასება მიუღიათ ი. გულდამაშვილს, ი. ბანიშვილს და გ. ბუქლუაშვილს.

ნორმატივების ჩაბარებაში, რასაც ჩვენც დავესწარით, კვლავ გამოიჩინა თავი კოდელაშვილმა. მან ღერძზე მიზიდვაში ორჯერ გადააჭარბა ოქროს ნიშნის ნორმატივს. თანაკლასელს ორი მიზიდვით ჩამორჩა რ. მახარაძე, ხოლო ზ. ამირიძემ სიმაღლეზე ხტომაში ოქროზე ჩააბარა გამოცდა.

უფროსებს არც მეხუთეკლასელები ჩამორჩნენ. ვ. ორთოიძემ 12-ჯერ გაიმეორა მიზიდვა, ი. მახარაძემ კი 120 სმ სიმაღლე გადალახა. ეს 15 სანტიმეტრით სჯობს ოქროს ნიშანზე ჩასათვლელ ნორმატივს. როგორც გ. ღლონტმა გვითხრა, მშდ-მ ბევრი მოზარდის დაფარული სპორტული მონაცემები გამოავლინა. მათ სპორტსკოლებში დაოსტატებისთვის მიეცათ რეკომენდაცია.

77-ე საშუალო სკოლაში ფართოდ გაუღეს კარი მშდ-ს კომპლექსს. კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ამ სასწავლო წელსვე ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმა ჩააბაროს კომპლექსის ნორმატივები.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თ. კოდელაშვილი ნორმატივის ჩაბარებისას; გ. ღლონტი სტუდენტ-პრაქტიკანტთა ერთ ჯგუფთან მშდ-ს ნორმატივების ჩაბარების შედეგების დაზუსტებისას; მოსწავლეები ეცნობიან კომპლექსის მოწმობისა და ჩათვლის ბარათის ნიმუშებს.

ავტორის ფოტოები.





## კვიცი გვარზე ხტის

ქართული კალათბურთის ისტორია, მისი ბევრი სახელოვანი ფურცელი მჭიდროდაა დაკავშირებული ნოდარ ჯორჯიკიას სახელთან. იგი დიდი ხანია ჩამოსცილდა სპორტს, მაგრამ ჯორჯიკიების გვარი უკვალოდ მაინც არ გაქრა კალათბურთიდან: მამის საქმეს დღეს ვაჟი აგრძელებს — პატარა კოკა ჯორჯიკია, რომელიც აგერ უკვე მეორე წელია ნორჩი დინამოელის გუნდში თამაშობს. მოდი და ამის შემდეგ ნუ ირწმუნებ ძველი ქართული ანდაზის სიბრძნეს — კვიცი გვარზე ხტისო. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენს კალათბურთს ახალი ჯორჯიკია მოევლინოს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კოკა ჯორჯიკია. ყურადღება მიაქციეთ, რომ ისიც მამასავით № 8 მაისურს ატარებს. იქნებ ესეც ბედნიერი დამთხვევაა?

მ. ზარგარიანის ფოტო.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **საშვეულმფრენო სპორტში** — გ. პოკროვსკის; **საპარაშუტო სპორტში** — ა. კუზოვკინს, ა. კანდირინს, პ. ფილიპოვს, **სამხედრო-სპორტულ მრავალჭიდში** — მ. ნანიჯანიანს (თბილისის ასკ); **მეკლდეურობაში** — ჟ. ქვანიას, შ. მირიანაშვილს, ო. ხაზარაძეს, დ. გოჩალიშვილს, დ. დანგაძეს, რ. ხაზარაძეს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი"); **სამბოში** — გ. აბრამიანს, თ. ელერდაშვილს (ორივე — თბილისის „დინამო"), ო. გულისაშვილს (თბილისის „სპარტაკი"); **ძრივში** — ნ. თორთლაძეს, ჯ. კვანტალიანს (ორივე — ქუთაისის „დინამო"), ნ. ქიქავას (თბილისის „განთიადი"), **მოტოსპორტში** — ა. ჟავიანს (თბილისის ასკ); **სროლაში** — პ. ციბულნიაკს (თბილისის ასკ); **ტურიზმში** — შ. შავიშვილს (ბათუმის „სპარტაკი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ქ. შავგულიძეს (თბილისი, „კოლმეურნე"), ბ. შენგელიას (ბათუმის „განთიადი"); **კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში** — თ. ილურიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **წყალსამოტორო სპორტში** — ნ. ვეკუნიძეს (ბათუმი, დოსააფი); **ძალოსნობაში** — ე. ხაჩატურიანს (ქუთაისი). **ფეხბურთში** — ნ. ამირეჯიბს (თბილისის „სპარტაკი"), გ. სართანიას (ზუგდიდის „სპარტაკი"), ჯ. ჯიშიაშვილს (ტყიბულის „სპარტაკი"), მ. დუბროვინს, გ. გვანცელაძეს, თ. კალანდაძეს (სამივე — თბილისის „განთიადი"); **ხელბურთში** — ი. ჯანგავაძეს (გუდაუთის „სპარტაკი"), ო. შაქარაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ი. ლევის (თბილისის „სპარტაკი"), ჯ. ძამაშვილს (თბილისის „განთიადი"), **ქართულ ჭიდაობაში** — ვ. გოგიბედაშვილს (კასპის „კოლმეურნე"); **ფრენბურთში** — ვ. გავრილენკოს (თბილისის „ლოკომოტივი"), კ. სამოხოდკინს (ბათუმი); **ჩოგბურთში** — გ. საბაშვილს (თბილისის „განთიადი"), **ჭადრაკში** — ჯ. ინჯიას, შ. თოთლაძეს (ორივე — გორის „სპარტაკი"), ა. ბლაგიძეს (თბილისის „განთიადი"), **კალათბურთში** — პ. მურადოვს (თბილისის „სპარტაკი"); **წყალში ხტომაში** — ვ. ფილატოვს (თბილისი, განათლების სამინისტრო); **წყალბურთში** — ვ. ქურდაძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **აკადემიურ ნიჩბოსნობაში** — კ. ლიპარტელიანს (ქუთაისის „განთიადი"); **აფროსნობაში** — ს. სტაცევიჩს (სოხუმის „სპარტაკი").





ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ





# ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲓᲜᲔᲜ

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 მარტი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 50:44 (25:21).

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ": ჩხიკვაძე (გუნდს შესძინა 14 ქულა), ბიჭიაშვილი (13), ალთაბაევი (10), ძიძიგური (9), გლურჯიძე (2), პულავსკი (2), ჭუღელი, ლეჟავა.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": სოკოლოვი (16), სიდიაკინი (10), ბოლოშევი (8), ავრაამოვი (7), ხარჩენკოვი (2), სოლოგუბი (1), ცინმანი, ბლიკი, სუხოვი, ჟიგალინი, გონჩაროვი.

მსაჯები — ი. ულიაშენკო, ი. გერასიმოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლიორები — 90:95 (39:51).

ეს მატჩი „ბურევესტნიკმა" გაცილებით უფრო იოლად მოიგო, ვიდრე ველოდით. მიზეზი მეტოქის უაღრესად სუსტ და დაბნეულ თამაშში უნდა ვეძებოთ. მოსკოველები ბევრს სცოდავდნენ შეტევის დროს, უშვებდნენ შეცდომებს დაცვაში და, ასე გასინჯეთ, სრულიად მარტივ სიტუაციებშიც კი. „დინამომ" 16 საჯარიმო სროლის უფლება მიიღო და ... 6 გამოიყენა. ჩვენმა მეტოქემ 66-ჯერ ესროლა ბურთი მეტოქის კალათს და მხოლოდ 19 მოახვედრა მიზანს. ასეთი მდარე, უხარისხო პროცენტული მაჩვენებლები მოსკოველებს საკავშირო ჩემპიონატის ორივე წრის მატჩებში ალბათ არც ჰქონიათ.

მასპინძლებიც არ იყვნენ მაინცდამაინც უცოდველი, მაგრამ მათ ჰქონდათ მიზანი და ამ მიზნისკენ მტკიცედ მიიწევდნენ. გარკვეული ამოცანა მატჩის წინ „დინამომაც" დაისახა და ეს ამოცანა, რა დასამალია, გამარჯვებას ითვალისწინებდა, მაგრამ სწორი გზა მიზნის მისაღწევად მან ვერაფრით გამონახა. ნერვიულობდნენ მოთამაშეები, ნერვიულობდა მწვრთნელი, გაოცებული მაყურებლის თვალწინ კი ერთი უმარტივესი შეცდომა მეორეს ცვლიდა. ამ საერთო არეულობაში „ბურევესტნიკი" უფრო მშვიდად და აზრიანად გამოიყურებოდა და გამარჯვებაც სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა.

ნ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ალთაბაევი მოსკოველთა გარემოცვაში; მარცხნიდან — სოკოლოვი, ცინმანი და სიდიაკინი. მ. ზარგარიანის ფოტო.

## ᲒᲝᲚᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 15 მარტი. გუშინ აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო მატჩი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" დაამარცხა ტარტუს „კალევი" — 80:77.

### ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ᲪᲡᲙᲐ | 18 | 17 | 1 | 1525—1252 | 17 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ლენინგრადი) | 18 | 17 | 1 | 1268—1119 | 17 |
| „ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ" (კიევი) | 18 | 9 | 9 | 1293—1246 | 9 |
| ᲐᲡᲙ (კიევი) | 18 | 8 | 10 | 1198—1309 | 8 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) | 18 | 8 | 10 | 1371—1428 | 8 |
| „ᲙᲐᲚᲔᲕᲘ" (ტარტუ) | 18 | 8 | 10 | 1294—1341 | 8 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) | 18 | 7 | 11 | 1326—1317 | 7 |
| „ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (თბილისი) | 18 | 5 | 13 | 1218—1293 | 5 |
| „ᲡᲢᲐᲢᲘᲑᲐ" (ვილნიუსი) | 18 | 4 | 14 | 1233—1429 | 4 |

## ჩვენი კომენტარი

ცსკა თუ ლენინგრადის „სპარტაკი"? საკავშირო ჩემპიონატის ძირითად შეკითხვას ვერც მეორე წრემ გასცა პასუხი. ლიდერებმა ტურნირი ერთნაირი მაჩვენებლებით დაამთავრეს და მთელი 8 ქულით დასცილდნენ უახლოეს მეტოქეს — კიევის „სტროიტელს". სსრ კავშირის ჩემპიონს უკეთესი მდგომარეობა აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო დამაჯერებლად მოუგო მეორე წრის მატჩი მეტოქეს.

დაძაბულ ბრძოლაში სატურნირო ცხრილის მესამე საფეხური „სტროიტელმა" დაიკავა. კიეველებმა მთელი რიგი წარუმატებელი შეხვედრების შემდეგ მოიგეს ერთი პრინციპული მატჩი „კალევთან" და გაინაღდეს ადგილი პირველ სამეულში.

სამმა გუნდმა — კიევის ასკ-მ, თბილისის „დინამომ" და „კალევმა" მეორე წრე 8-8 ქულით დაამთავრეს. ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი კიეველებს აღმოაჩნდათ (+9). დინამოელები ამ სამეულში II ადგილზე არიან (+5), „კალევი" — III (—14).

მოსკოვის „დინამომ" ორი მატჩი მოუგო „ჟალგირისს" და, ცხადია, მასზე უკეთეს ადგილზეა.

აუტსაიდერთა არასახარბიელო მდგომარეობა ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. გაიხსენეთ „ბურევესტნიკის" პირველი წრის გასვლითი ბრძოლები ლენინგრადში, კაუნასში, ტარტუსა და კიევში. თბილისელებმა ხომ პატარა უპირატესობით დათმეს ეს მეტად მძიმე მატჩები. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაჭირვების ჟამს ისინი შეძლებენ ძალების მობილიზებას და სასურველ შედეგს მიაღწევენ? თუმცა, ვიმეორებთ, ეს მეტად ძნელი ამოცანაა, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს.

28 მარტს განახლდება ჩემპიონატი და ყველაფერი თავის რიგზე დადგება. მანამდე კი ... დრო საკმარისია ფიქრისა და დასვენებისთვის.

ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ

# ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 13 მარტი. ჩიმბულაკის მიდამოებში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი სამთოსათხილამურო სპორტში. პროგრამის მეორე სახეობა იყო ვაჟთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. იგი ორ დღეს გაგრძელდა და ისევ საპოროს ოლიმპიადის მონაწილის, ლენინგრადელი ს. გრიშჩენკოს გამარჯვებით აღინიშნა. გრიშჩენკომ ორივე ცდაში აჯობა ყველას. პირველი ტრასა (1380 მ, სიმაღლეთა სხვაობა 450 მ, 66 კარი) მან 1 წუთსა და 30,12 წამში დაფარა.

მეორე იყო ი. ნასყიდაშვილი (საქართველო)—1.32,46, ხოლო მესამე — ვ. მარკინი (უკრაინა) — 1.32,60.

მეორე დისტანციაზე (1170 მ, სიმაღლეთა სხვაობა 415 მ, 59 კარი) გრიშჩენკომ 1.24,26 აჩვენა და მისმა ჯამმა 2.54,38 შეადგინა. ნასყიდაშვილი ამჯერად მეშვიდე იყო, მარკინი კი მერვე, მაგრამ საერთო ჯამში მათ შესაბამისად II და III ადგილები შეინარჩუნეს. ნასყიდაშვილის საერთო დრო 2.59,70, მარკინისა — 3.00,06.

# ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲗᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ე. გუფელდმა ყაიმს მიაღწია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან. ასევე ყაიმით დამთავრდა ე. უბილავა — ე. ვასიუკოვის შეხვედრა. ს. ჩეჩელიანმა წააგო ი. ბალაშოვთან, ხოლო გ. ვეფხიშვილმა — ვ. ფიოდოროვთან. ამრიგად, ანგარიში გახდა 10:2 მოსკოველთა სასარგებლოდ. უკრაინა — რსფსრ-ს მატჩის საბოლოო ანგარიშია 6:6, ხოლო ლენინგრადელებმა მოუგეს ლატვიელებს— 7,5:4,5.

ამრიგად, სსრ კავშირის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველებმა — 37,5 ქულა. 3 ქულით ჩამორჩნენ მათ რსფსრ-ს მოჭადრაკეები, რომლებმაც ვერცხლის მედლები მიიღეს. III ადგილი და ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ უკრაინის წარმომადგენლებს — 33 ქულა.

მომდევნო ადგილებზე არიან: ლენინგრადი — 30, საქართველო — 24, ლატვია — 21 ქულა.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ესტონეთი, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ლიტვა, მოლდავეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

ქართველი მოჭადრაკეების მაჩვენებლები ფინალში ასეთია: გუფელდი — 2 ქულა (4-დან), რ. ჯინჯიხაშვილი — 2 (4-დან), უბილავა—2 (4-დან), ჩეჩელიანი — 2 (3-დან), ზ. მიქაძე — 1 (2-დან), დ. გედევანიშვილი 1,5 (4-დან), გ. ვეფხიშვილი — 2,5 (4-დან), გ. ზაიჩიკი — 1 (4-დან), ც. კობაიძე — 1,5 (4-დან), თ. ხუგაშვილი — 2,5 (4-დან), თ. კაჭარავა — 1 (4-დან), მ. წერეთელი — 2 (4-დან). ბ. გურგენიძემ სამი შეხვედრიდან ვერც ერთი ქულა ვერ აიღო.

დაფების მიხედვით გაიმარჯვეს: პ. კერესმა (ესტონეთი)—5 ქულა (7-დან), ა. გიპსლისმა (ლატვია) — 5,5 (7-დან), ს. ფურმანმა (ლენინგრადი) — 5,5 (8-დან), ა. მორგულიოვმა (აზერბაიჯანი) — 5,5 (8-დან), ვ. ჟიტკოვმა (რსფსრ) — 6,5 (8-დან), ბ. ანეტბაევმა (ტაჯიკეთი) — 6,5 (8-დან), ა. ბელიავსკიმ (უკრაინა) — 7,5 (9-დან), ა. გორჩაკოვმა (მოსკოვი) — 6 (8-დან), ა. კუშნირმა (მოსკოვი) — 8 (8-დან. კუშნირი ოლიმპიადის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც ასეთი შედეგი აქვს), ტ. ლემაჩკომ (მოსკოვი)—6 (8-დან), მ. ოსტროვსკაიამ (მოსკოვი) — 6 (8-დან), ნ. ალიოხინამ (რსფსრ) — 7,5 (9-დან). სათადარიგო მოთამაშეთა შორის ყველას აჯობა რსფსრ-ს წარმომადგენელმა ი. ანიკაევმა.

საღამოს მოეწყო ოლიმპიადის საზეიმო დახურვა. საღამო გახსნა მფრინავმა-კოსმონავტმა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ა. ლეონოვმა. შეჯიბრების შესახებ მოხსენება გააკეთა დიდოსტატმა ა. კოტოვმა. შემდეგ გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცათ.

თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
ოლიმპიადის მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



ამ სურათზე აღბეჭდილია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტის სასახლეში თბილისისა და ლიუბლიანის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების გუშინწინ გამართული მატჩის მომენტი (თბილისელი გ. ნარიმანიძე უტევს იუგოსლაველთა კარს). ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ეს შეხვედრა ფრედ — 23:23 (10:12) დამთავრდა. ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობებს სტატისტიკის მოყვარულებისთვის.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: კომახიძე, დვალიშვილი (გაიტანა 6 გოლი), კასოიშვილი (4), ნარიმანიძე, გ. ბერიაშვილი (3-3), ექსეულიძე, ჭყონია (2-2), ბუნაძე, ფხაკაძე, ფხალაძე (1-1), სხიერელი, ვ. ბერიაშვილი.

ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐ: შინკოვცი, პეჩავერი (5), ჯაკიჩი, პენკო (4-4), ტრუნკლი, პოჩერვინა, ივაჩიჩი (2-2), ერახი, კოსა, ბუჩუკი, არტნაკი (1-1).

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოგვცა: კ. ჩიგოგიძემ წააგო პ. შაქარიანთან, ხოლო შემდეგ ეტიუდური სვლებით ყაიმს მიაღწია დ. ჯანოევთან. მ. ფრიდინსკიმ დაამარცხა შ. ჭრელაშვილი, ხოლო ჯანოევმა — ე. კუშჩიანი.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ შაქარიანი, ჯანოევი (8,5 8,5 ქულა), გ. ციხელაშვილი (8) და გ. კალატოზიშვილი (7,5).

ბოლო ტურში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება შაქარიან — ჯანოევის, ციხელაშვილ — ჩიგოგიძისა და კალატოზიშვილ — ფრიდინსკის პარტიების შედეგებს.

# ᲢᲣᲚᲔᲚ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ

ტულის იარაღის ქარხნის ნაწარმმა დიდი მოწონება ჰპოვა როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ ოსტატ მსროლელთა და მონადირეთა შორის. ახლა ქარხანამ სრულყოფილი კონსტრუქციის „ტოზ-49" ტიპის სპორტული რევოლვერების პირველი პარტია გამოუშვა.

ეს მოდელი, რომელიც კონსტრუქტორმა ს. ანანიევმა დაამუშავა, საექსპლოატაციო-ტექნიკური მაჩვენებლებით ბევრად სჯობს თავის წინამორბედს („ტოზ-36"), რომელმაც მოწონება დაიმსახურა სპორტულ ტირებში, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ახალ რევოლვერს ტყვიების მეტი დაჯგუფება აქვს, რაც უფრო ეფექტური, დამოკლებული ვაზნით აიხსნება. მოდელს უფრო დახვეწილი სასროლი მექანიზმი აქვს. რევოლვერი 15 ათასი გასროლისთვისაა გათვალისწინებული.

ქარხნის კონსტრუქტორთა ჯგუფმა ნ. კოროვიკოვის მეთაურობით დაამუშავა სანადირო თოფის რამდენიმე გაუმჯობესებული მოდელი. დიდ ნადირზე ტყვიით ნადირობისთვის ტულელებმა დაამზადეს „ტოზ-55" მოდელის თოფი, რომლის ორივე ლულა 9-მილიმეტრიანი ქალიბრის ვაზნებისთვისაა გათვალისწინებული. მას ძლიერი ოპტიკური სამიზნე აქვს და სროლა 300 მეტრამდე დისტანციიდან შეიძლება.

ტულელთა კიდევ ერთი სიახლეა ორლულიანი თოფი წანადირზე და ფრინველზე სარეწაო ნადირობისთვის — „ტოზ-56".

ახალი იარაღი გარეგნულადაც ლამაზადაა დამუშავებული. (საქინფორმი).

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

# სამი მატჩი ინდონეზიაში

**საუბარი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსთან, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ნ. ჩხატარაშვილთან**

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ვიზიტი ინდონეზიაში დაემთხვა გუნდისთვის ერთობ საპასუხისმგებლო ეტაპს — წინასასეზონო სამზადისის ადრეულ პერიოდს. ეს ის დღეებია, როცა მოთამაშეები ჯერ მხოლოდ უახლოვდებიან თავიანთ სპორტულ ფორმას, მიმდინარეობს აღდგენითი პროცესები, შემადგენლობის დადგენა. ამ ხანში იწყება საკონტროლო მატჩები, მაგრამ ისე, რომ ყოველი გუნდი უმთავრესად თვითვე ირჩევს სპარინგ-პარტნიორებს იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტული მიზანი აქვს დასახული იმ პერიოდისთვის.

სწორედ ასეთ დროს მოგვიწია ტურნემ შორეულ აზიაში. ამან, რა თქმა უნდა, გამოიწვია შესაბამისი კორექტივები საერთო მზადების გეგმაში. დაუმატეთ ამას, რომ საჭირო შეიქნა მგზავრობის პირვანდელი მარშრუტისა და ვადების შეცვლა. ცოტა არ იყოს, ამოვვარდით შეჩვეული რიტმიდან...

ასეა თუ ისე, 16 თებერვალს მოსკოვიდან გავფრინდით მარშრუტით დელი — სინგაპური. იქ გადავსხედით იაპონიის ავიაკომპანიის თვითმფრინავში და მშვიდობიანად დავეშვით ჯაკარტის აეროდრომზე.

რა მიზანს ემსახურებოდა თბილისის „დინამოს" ვიზიტი ინდონეზიაში? ეს იყო მეგობრული სტუმრობა იქაური ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით. ინდონეზიაში, საერთოდ, წესად აქვთ წლის სხვადასხვა დროს მოიწვიონ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კლუბები, აჩვენონ თავიანთ ფეხბურთელებს მაღალი კლასის გუნდების თამაში, მოამზადონ ისინი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოსასვლელად. ამ მატჩების მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ ადგილობრივი სპორტული წრეები, გულშემატკივრები, პრესა, ტელევიზია. თბილისის „დინამო", მაგალითად, თებერვლის მეორე ნახევარში მარტო არ იყო ამ ქვეყანაში. სწორედ ამ დროს იყვნენ იქ დანიის „ოდენსე" და ბრაზილიის „კრუზეირო". ამასთან, ამ გუნდებს ჰქონდათ არა საერთაშორისო ტურნირი, არამედ საწვრთნელი მატჩები მასპინძლებთანაც და ერთმანეთთანაც.

17 თებერვალს ჩავედით ჯაკარტაში. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს აეროპორტში, მოგვათავსეს პირველხარისხოვან სასტუმროში და, საერთოდ, სანაქებო მასპინძლობა გაგვიწიეს. სავარჯიშოდ გამოგვიყვეს ცენტრალური სტადიონის ძირითადი მინდორი, რომელსაც საუკეთესო ბალახის საფარი აქვს. ეს შესანიშნავი სპორტული ბაზაა, რომელიც საბჭოთა სპეციალისტების მიერაა აგებული ლუჟნიკის სტადიონის მსგავსად, მაგრამ მისგან განსხვავებით მთელს პერიმეტრზე „ქუდი" აქვს დაყოლებული ისე, რომ ტრიბუნების თითქმის 80 პროცენტს იფარავს. აქ ტროპიკული წვიმები და უმოწყალო სიცხე იცის, ამიტომ ამგვარი საფარი აუცილებელია. სტადიონი გიგანტურია — 100 ათას მაყურებელს იტევს.

ამ სტადიონზე ორი საწვრთნელი ვარჯიში ჩავატარეთ იმ პროგრამით, რომელიც საერთო სამზადისის გეგმით გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ ცვლილების შეტანა მასში მაინც მოგვიხდა. საქმე ისაა, რომ ინდონეზიაში ნესტიანი სიცხე იცის და შეუჩვეველი კაცისთვის იგი ძნელი გადასატანია. რაც უნდა ფაქიზად გადაკიდო საღამოს შინ ტანსაცმელი, დილას იგი მაინც ხელახლა გასაუთოებელია. აკლიმატიზაცია გარკვეულ დროს მოითხოვს.

ინდონეზიაში ჩასვლამდე ლესელიძეში ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ: კიშინიოვის „ნისტრუსთან" (2:2) და სვერდლოვსკის „ურალმაშთან" (1:0). აი, სულ ეს იყო თბილისის „დინამოს" წლევანდელი სათამაშო პრაქტიკა. ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ფეხბურთელთა საბრძოლო ფორმის თანდათანი, მეთოდური გაუმჯობესება, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრებს თავისი კანონები აქვს, თამაში საჭიროა მთელის ძალითა და შესაძლებლობით. პრესტიჟი, უპირველეს ყოვლისა!

დადგა პირველი მატჩის დღე — 20 თებერვალი. ჩვენი მეტოქე იყო დანიის ცნობილი, ძლიერი კლუბი, ამ ქვეყნის თასის მფლობელი „ოდენსე", რომლის შემადგენლობაში გამოდიან ეროვნული ნაკრების მოთამაშეები რიქტე, ანდერსენი და სხვ.

„ოდენსემ" სცადა თამაში წარემართა ნელ ტემპში, ბურთის აუჩქარებელი გათამაშებით, მაგრამ ჩვენ სულ მალე შევძელით უპირატესობის მოპოვება, ჩავრთეთ ტემპი და რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის (გ. და ლ. ნოდიები, გუცაევი, მჭედლიშვილი) შემდეგ გავაშელმა გუცაევის გადაცემით ანგარიში გახსნა — 1:0. ეს მოხდა 30-ე წუთზე. გავიდა ცოტა ხანი, გამეორდა ანალოგიური კომბინაცია და გავაშელმა მეორედ აიღო დანიელთა კარი, ხოლო შესვენების შემდეგ გ. ნოდიამ ანგარიში 3:0-მდე აიყვანა.

57-ე წუთზე დინამოელთა მეკარისა და მცველთა შეუთანხმებლობის შედეგად ჰანსენმა შეძლო პირველი საპასუხო ბურთის გატანა — 1:3. თბილისელებმა კვლავ შეუტიეს მეტოქეს, ერთ-ერთ მომენტში „ოდენსეს" მცველმა ხელით გამოიტანა ბურთი კარიდან და ასათიანმა ზუსტად გაიტანა პენალტი — 4:1.

მატჩის დასასრულს სტეფანიამ მოიგერია მაღალი ბურთი, მას მიუსწრო ერიქსონმა, რომელმაც კარგად გამოიყენა ეს მომენტი. საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ ანგარიშით 4:2. გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე (მჭედლიშვილი), გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ლ. ნოდია (ყიფიანი).

მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დინამოელები ბევრს და ეფექტურად უტევდნენ, მაგრამ დაცვა მოისუსტებდა, იგრძნობოდა ძოძუაშვილის, ხურცილავასა და ხინჩაგაშვილის არყოფნა. გაზეთებმა აღნიშნეს ასათიანის, ჭელიძის, ძმები ნოდიების, გუცაევის კარგი თამაში. დანიელთაგან მე გამოვყოფდი გამთამაშებელ ნახევარმცველს ერიქსონს და მეკარე ფრომს.

მატჩის შემდეგ ბიჭები უჩიოდნენ ნესტიან სიცხეს და მისგან გამოწვეულ ზედმეტ დაღლილობას.

23 თებერვლის 17 საათზე იმავე სტადიონზე შევხვდით ინდონეზიის ნაკრებს.

„დინამო" მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, კუტივაძე (გავაშელი), ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

როცა საარქივო მასალებს გადავხედეთ, გამოირკვა, რომ თბილისის „დინამოსთვის" ეს მეორე საერთაშორისო მატჩი ყოფილა ინდონეზიის ნაკრებთან. გავიხსენეთ, რომ 1956 წელს ინდონეზიელებს 23 აგვისტოს თბილისში უთამაშიათ „დინამოს" სტადიონზე. დინამოელებს მაშინ გაუმარჯვიათ ანგარიშით 5:2.

დიდი ანგარიში გამეორდა ახლაც. 29-ე წუთისთვის თბილისელები წინ იყვნენ ოთხი „მშრალი" ბურთით (გუცაევი, კუტივაძე, გ. ნოდია — 2). დიდი ხანია არ მინახავს ჩვენი გუნდის ასეთი შეწყობილი, ტემპიანი, კოლექტიური თამაში. ყოველი რთული ტექნიკური ილეთის შესრულებისას სტადიონი ტაშით გვაჯილდოებდა, თითოეული იერიშის შემდეგ მასპინძელთა კარი გოლის გატანის რეალური ხიფათის წინაშე იყო. დინამოელებს მსუბუქად, ლამაზად გამოსდიოდათ ყველაფერი. მატჩის შემდეგ პრესა წერდა, რომ „დინამოში" ყოველი ფეხბურთელი სოლისტია, რომლებსაც დირიჟორობს ყოვლისშემძლე ასათიანი.

მაგრამ ეს კონცერტი გაგრძელდა მხოლოდ პირველ 45 წუთს. შესვენების შემდეგ გუნდმა უკლო ტემპს, მოადუნა თამაში, ინიციატივა მეტოქეს გადააბარა და შემდეგ უკვე ველარ შეძლო ანსამბლის აწყობა. ინდონეზიელებმაც არ დააყოვნეს გამოეყენებინათ ეს გარემოება. მათი სწრაფი, აქტიური გარემარბები ლალა და სიხასალი ზედიზედ გადიოდნენ „დინამოს" საჯარიმო მოედანზე და ჯერ პირველმა, ხოლო შემდეგ მეორემ თითქმის ზედიზედ გაქვითეს ორი გოლი.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, თამაში გაჭირდა, მაგრამ აქ გვიშველა ყიფიანმა. მან ბრწყინვალედ შეასრულა ინდივიდუალური გარღვევა მინდვრის ცენტრში, ბურთი გაითამაშა მაჩაიძესთან და მერე ულამაზესი გოლი გაიტანა — 5:2.

79-ე წუთზე ლალამ ერთი უსიამოვნება კიდევ მოგვაყენა, მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე კი ლ. ნოდიამ წერტილი დაუსვა ანგარიშს — 6:3.

ჩვენი გასტროლები ინდონეზიის საფეხბურთო მინდვრებზე ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ, რახან თბილისის „დინამოს" გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, საერთო ყურადღება მიიპყრო და ამას დაემთხვა ბრაზილიის ცნობილი კლუბის „კრუზეიროს" იქ ყოფნა, რომლის თამაშებს ფეხბურთის მოყვარულები არ აცდენდნენ, გადაწყდა შემდგარიყო დამატებითი მატჩი: „კრუზეირო" (ბელუ-ორიზონტი) — „დინამო" (თბილისი).

რამდენიმე სიტყვა „კრუზეიროს" შესახებ. ეს კლუბი შექმნილია 1921 წელს და, თუმცა თავის შტატში (მინას-ჟერაისი) უძლიერესი იყო, ბრაზილიის მასშტაბით არ ბრწყინავდა, ყოველ შემთხვევაში, ჩამორჩებოდა რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს „გრანდებს". მაგრამ 1966 წელს „კრუზეირომ" სძლია ბრაზილიის საუკეთესო გუნდებს „ფლუმინენსეს", „სანტოსს" და სხვებს, მოიგო ეროვნული თასი და იმ დროიდან მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ლიდერთა შორის მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანაში. ამ წარმატებათა ავტორები იყვნენ ტოსტაო, ლოპესი, პიაცა, ტონინიო, ზე კარლოსი, არგენტინიდან მოწვეული ექსტრა-კლასის მცველი პერფიუმო და სხვ.

მატჩი „კრუზეიროსთან" 26 თებერვალს შედგა. მან არნახული ინტერესი გამოიწვია. 20 ათასი ბილეთი დაიჯავშნა ტურისტებისთვის ფილიპინებიდან, სინგაპურიდან, ტაილანდიდან. ადგილობრივი გაზეთები ადგილს არ იშურებდნენ მომავალი თამაშის სარეკლამოდ, სტადიონი პირთამდე გაიტენა.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: „კრუზეირო" — ელიო (იგი შემდეგ შეცვალა ვიტორმა), პერფიუმო, ფონტანა, ლაურო, პიაცა, ვანდერლეი (რობერტო), ედუარდო (ნეირიბერტო), ზე კარლოსი, რეპეტო, ტოსტაო, რინალდო (ტონინიო); „დინამო" — სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

მატჩი ფაქტიურად წავაგეთ პირველი ტაიმის დასასრულს, ბოლო ორ წუთში. ჯერ ედუარდოს შორეულმა დარტყმამ (დაახლოებით 25 მეტრიდან) მიაღწია მიზანს, შემდეგ ტოსტაომ მიუსწრო სტეფანიას ხელიდან გაშვებულ ბურთს და ბადეში გაგზავნა იგი — 2:0. 57-ე წუთზე ყიფიანი დრიბლინგით გაექცა ბრაზილიელთა მცველებს და ძნელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ძალიან ზუსტად, ოსტატურად დაარტყა — 1:2. სულ ცოტა ხანში იმავე ყიფიანს შეეძლო საერთოდ გაეთანაბრებინა ანგარიში, რომ არ აჩქარებულიყო. 70-ე წუთზე რობერტომ საბოლოოდ დააწინაურა თავისი გუნდი — 3:1.

ესაა ამ მატჩის, ასე ვთქვათ, ტექნიკური, სტენოგრამული ანგარიში, თვით თამაში კი საგანგებო აღწერის ღირსია. იგი უაღრესად საინტერესო, დაძაბულ და შინაარსიან ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა, როგორც მუდამ, ბურთის ფლობის უმაღლესი, ვირტუოზული ტექნიკა გამოავლინეს, ურთულეს ელემენტებში შეუძლებელი მათთვის თითქმის არაფერია. მაგრამ მარტო ამას არ შეუსრულებია გადამწყვეტი როლი. მათ ნახეს ჩვენი გუნდის თამაში და მთავარ ტაქტიკურ ამოცანად დაისახეს არ მიეცათ დინამოელთათვის სწრაფი, ტემპიანი შეტევის საშუალება. ისინი ხშირად აჩერებდნენ ბურთს, ხანგრძლივად ათამაშებდნენ მას შუა მინდორში და, როგორც ეს კალათბურთში გინახავთ, უცებ, მოულოდნელად, დიდი სიზუსტით აწვდიდნენ კარგ მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პიაცა, რობერტო, პერფიუმო (ეს მცველი 1971 წელს ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა აღიარებული), ხოლო რაც შეეხება ტოსტაოს, მისი ტაქტიკური ჩანაფიქრის ამოცნობა რთულზე ურთულესი საქმეა. იგი ვრცელ ტერიტორიაზე მოქმედებს, ვერ გაუგებ როდის რას გააკეთებს, სით გადაიყვანს თამაშს, რა კომბინაციას წამოიწყებს. არც ერთი ზედმეტი ნოძრაობა, უსარგებლო გადაცემა. ტოსტაოს წამითაც არ გამორჩება მხედველობიდან თანაგუნდელთა განლაგება, მათი სავარაუდო გადანაცვლებანი და ისინიც მუდამ მჭიდრო კონტაქტში არიან თავიანთ ლიდერთან.

„კრუზეიროს" თამაშმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს ფეხბურთელებზე. მატჩის ანგარიში შეიძლება სულ სხვა ყოფილიყო, საქმე ამაში არაა. დინამოელებმა თვალნათლივ ნახეს, როგორ უნდა შენიღბო შენი განზრახვა, მოახვიო თავს მეტოქეს შენთვის სასურველი და სასარგებლო ტაქტიკა, ტემპი, აიძულო იგი დაუშვას შეცდომა, დატოვოს უკონტროლოდ ადგილი სახიფათო ზონაში, ვერ გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში.

ამას გარდა, ყურადღებას იპყრობს ბრაზილიელ ფეხბურთელთა სერიოზული, პროფესიული მიდგომა საქმისადმი. ჩვენ დავესწარით მათ წვრთნას. ყურადღება მიიქცია ერთმა ფეხბურთელმა, რომელიც სულ სხვა პროგრამით ვარჯიშობდა, ვიდრე მისი მეგობრები. გამოვიკითხეთ და გამოვარკვიეთ, რომ ეს ყოფილა გუნდის ძირითადი მოთამაშე, მაგრამ ავად გამხდარა. თამაშში მას არ უწევდა, მაგრამ წვრთნაზე მაინც გამოვიდა და გულმოდგინედ აკეთებდა იმას, რაც ავადმყოფ კაცს შეეძლო.

ვფიქრობთ, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა სასარგებლო გაკვეთილი მიიღეს ინდონეზიაში მოგზაურობით, განსაკუთრებით, „კრუზეიროსთან" თამაშით.

---

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

ხობელთა კარში ბურთი გაიტანა კოხრეიძემ.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „განთიადი" (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

ამ მატჩში დაწინაურდნენ სტუმრები (პეტროსიანი) და ანგარიშის გათანაბრება „სალხინომ" მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო (ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ოდიშარიამ).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ბორჯომელ დ. ფირცხალავას.

● „კახეთი" (თელავი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

მასპინძლებს მთელი თამაშის მანძილზე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს და ისიც მატჩის დასასრულს, 87-ე წუთზე (ბურდული).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა შაფაქიძემ, ხოლო ტაიმის დასასრულს აიზოვმა მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

● „დინამო" (ზუგდიდი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ს. ტკაჩენკო (სოხუმი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი შ. ჩინოიანი (მახარაძე).

სამივე ბურთი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი. თბილისელთაგან მათი ავტორები იყვნენ ნარსია და ჯაში, ხოლო სტუმართა მხრივ — გურაშვილი.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ისანი" (თბილისი) 1:3. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ანგარიში კეჟერიშვილმა გახსნა, ხოლო მეორე ბურთი „მეტალურგის" კარში ჩარკვიანმა გაიტანა. ტოგონიძემ შეძლო 1 ბურთის გაქვითვა, მაგრამ მატჩის დასასრულს გოცირიძემ მესამედ აიღო მასპინძელთა კარი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „სამცხე" (ახალციხე) 1:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „გიგანტი" (ლაითური) — „ივერია" (ხაშური) 2:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ხაშურელებმა მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა შეძლეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. „გიგანტს" გამარჯვება მოუტანა ჩარკვიანის ორმა გოლმა.

* * *

საქართველოს ჩემპიონატის წინა ტურის ანგარიშში „ქართლის" (გორის რაიონი) და ზუგდიდის „დინამოს" მატჩში გორელთა მიერ გატანილი ბურთები ჩვენ არასწორად მივაწერეთ ზუგდიდელებს.

---

# მინდორზე არიან მოზარდები

დაიწყო მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული სკოლების 17 გუნდი.

გათამაშება ჯერ მხოლოდ დაიწყო და, სამწუხაროდ, უკვე გვიხდება ლაპარაკი ზოგიერთი ჭაბუკი ფეხბურთელის უხეშობაზე, დისციპლინის დარღვევაზე, უწესო საქციელზე. სამსაჯო ოქმებში გაჩნდა პირველი ჩანაწერები მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევებისა და გაფრთხილებათა შესახებ.

მაგალითად, სოხუმის „დინამოსა" და მახარაძის „მერცხლის" მატჩში ერთმანეთთან ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევეს სოხუმელი ა. ხომალიანი და მახარაძელი ვ. ჩოლობარდია, ხოლო ლანჩხუთის „გურიისა" და თელავის გუნდის შეხვედრაში — ლანჩხუთელი ე. ორაგველიძე. გაფრთხილებები მიიღეს გ. შათირიშვილმა, ნ. ხმალაძემ, თ. ნატროშვილმა (თელავი), თ. საბანაძემ („ავაზა", თბილისი), ა. აბაშიძემ („სპორტინტერნატი", თბილისი), გ. ფილიამ და ს. აპრიაძემ („კოლხეთი", ფოთი), ვ. ბაკუშევმა (მწვრთნელთა სკოლა, თბილისი).

მდგომარეობა საგანგაშოა. იგი მეტყველებს იმაზე, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებთან არ წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა და როგორც მწვრთნელებს, ისე ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, სრულიადაც არ ადარდებთ თავიანთ ფეხბურთელთა ყოფაქცევა. დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები.

მოგვყავს პირველი ტურების ტექნიკური შედეგები:

„დინამო" (თბილისი) — „დილა" (გორი) 2:0, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:2, „დინამო" (სოხუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 0:0, „ავაზა" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 1:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „განთიადი" (თბილისი) 0:1, განათლების განყოფილება (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 1:3.

„გურია" — თელავი 2:0, „განთიადი" (თბილისი) — განათლების განყოფილება 0:0, მწვრთნელთა სკოლა — „კოლხეთი" 2:0, „სპორტინტერნატი" — „ავაზა" 0:2, „მერცხალი" — „ტორპედო" 2:6, „მეტალურგი" — „დინამო" (სოხუმი) 2:3, „დილა" — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:1, „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „ტორპედო" — „მეტალურგი" 3:0, „ავაზა" — „მერცხალი" 0:0, „კოლხეთი" — „სპორტინტერნატი" 0:0, განათლების განყოფილება — მწვრთნელთა სკოლა 8:0, თელავი — „განთიადი" 2:2, გაგრა — „გურია" 1:0.

ნ. ამირეჯიბი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე...

გრენობლი. 11-12 მარტი. ევროპის მძლეოსანთა ზამთრის III ჩემპიონატი.

### ქალები

რბენა. 50 მ. შტეჰერ-მაისტერი (გდრ) — 6,25, რიჰტერი (გფრ) — 6,28, ტელეზი (საფრანგეთი) — 6,31; 400 მ. ფრეეზე — 53,36, ბიოდინგი — 54,60, ვაინშტაინი (ყველა — გფრ) — 54.73; 800 მ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 2.04,83, სილაი (რუმინეთი) — 2.05,17, ზლატევა (ბულგარეთი) — 2.05,50; 1500 მ. პანკლოვა — 4.14,62 (მსოფლიო მიღწევა), ბრაგინა (ორივე — სსრკ) — 4.18,35, ამზინა (ბულგარეთი) — 4.18,84; ესტაფეტა 4×2 წრეზე. გფრ — 3.10,4, სსრკ — 3.11,2, საფრანგეთი — 3.11,3; 50 მ თარჯრბენი. ერჰარტი (გდრ) — 6,85, სუკნევიჩი (პოლონეთი) — 6,94, ანტენენი (შვეიცარია) და რაბშტინი (პოლონეთი) — 7,05; სიმაღლეზე ხტომა. შმიდტი — 190 (მსოფლიო მიღწევა), ჰილდემაისტერი (ორივე — გდრ) — 184, ბლაგოევა (ბულგარეთი) — 184; სიგრძეზე ხტომა. როზენი (გფრ) — 658 სმ, ანტონენი — 642, ნიგრინოვა (ჩეხოსლოვაკია) — 639; ბირთვის კვრა. ჩიჟოვა — 19,41, ივანოვა (ორივე — სსრკ) — 18,54, ადამი (გდრ) — 18,30.

### ვაჟები

რბენა. 50 მ ბორზოვი — 5,75, კორნელიუკი (ორივე — სსრკ) — 5,81, პაპაგეორგოპულოსი (საბერძნეთი) — 5,82; 400 მ. ნიუკლესი — 47,24, რაიპი (ორივე — გფრ) — 47,42, მიულერი (გდრ) — 47,42; 800 მ. პლახი (ჩეხოსლოვაკია) — 1.48,84, ივანოვი (სსრკ) — 1.49,05, გონზალესი (საფრანგეთი) — 1.49.17; 1500 მ. ბოკსბერგერი (საფრანგეთი) — 3.45.66, ზახაროპულოსი (საბერძნეთი) — 3.46,08, მაი (გფრ) — 3.46,42, 3000 მ. გრუსტინში — 8.02,85, ალექსაშინი (ორივე — სსრკ) — 8.03.20, ბრუგერი (გფრ) — 8.05,07; ესტაფეტა 4×4 წრეზე. გფრ — 6.26,4, სსრკ — 6.27,0, პოლონეთი — 6.27,6; 50 მ თარჯრბენი. დრიუ (საფრანგეთი) — 6 51, შუმანი (გფრ) — 6,58, მოშიაშვილი (სსრკ) — 6,59; სიმაღლეზე ხტომა. მაიორი (უნგრეთი) — 224 სმ, შაპკა — 222, ტარმაკი (ორივე — სსრკ) — 222; სიგრძეზე ხტომა. კლაუსი (გდრ) — 802 სმ, ბაუმგარტნერი (გფრ) — 799, ბროზი (ჩეხოსლოვაკია) — 788. სამხტომი. სანეევი (სსრკ) — 16,97 (მსოფლიო მიღწევა), კორბუ (რუმინეთი) — 16,89, შევჩენკო (სსრკ) — 16.73; ჭოკი. ნორდვიგი (გდრ) — 540, ლაგერკვისტი (შვეცია) — 540, კალიომიაკი (ფინეთი) — 530; ბირთვი. ბრიზენიკი (გდრ) — 20,67, კომარი (პოლონეთი) — 20,32, ბრაბეცი (ჩეხოსლოვაკია) — 19,94.

• • •

კალგარი. მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. 11 მარტი. ყინულზე სპორტული ცეკვები.

1. ლ. პახომოვა — ა. გორშკოვი (სსრკ) — 514,6 ქულა (ადგილების ჯამი — 14), 2. ა. და ე. ბუკები (გფრ) — 512,0 (17), 3. ჯ. შვომაიერი — ჯ. სლადკი (აშშ) — 508,7 (24), 4. ჯ. სოუბრიჯი — პ. დელბი (დიდი ბრიტანეთი) — 495,0 (38), 5. ტ. ვოიტიუკი — ვ. ჟიგალინი (სსრკ) — 485,7 (46), 6. ჰ. გრინი — ჯ. უოთსი (დიდი ბრიტანეთი) — 484,2 (50)... 8. ე. ჟარკოვა — გ. კარპონოსოვი (სსრკ) — 451,4 (75).

## „ზამთრის დღესასწაული"

ჰოლმენკოლენი (ნორვეგია). „ზამთრის დღესასწაულის" — ამ ტრადიციული ტურნირის პროგრამით 50 კმ-ზე რბენა მოიგო ცნობილმა ნორვეგიელმა მოთხილამურემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა პ. ტილდუმმა — 3:00.34.

ჩრდილოეთის ორჭიდში პირველი იყო ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რ. მიეტინენი (ფინეთი) — 427,775 ქულა. II ადგილზეა გ. დეკერტი (გდრ) — 418 775. მესამეა ნორვეგიელი გ. ანდერსენი — 415,415.

10 კმ-ზე რბოლა მოიგო ამ სახეობაში საპოროს „თეთრი თამაშების" ბრინჯაოს პრიზიორმა მ. კაიოსმაამ (ფინეთი) — 40.25.

## ოლიმპიური მოზაიკა

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში 1109 მედალი გათამაშდება (364 ოქრო, ამდენივე ვერცხლი და 381 ბრინჯაო). აქედან პირველი ჯილდოების მფლობელნი შეჯიბრების პირველ დღეს — 27 აგვისტოს გამოვლინდებიან, დღის მეორე ნახევარში. ამ დროისთვის დამთავრდება მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მსროლელთა და უმჩატესი წონის ძალოსანთა შეჯიბრება. ოლიმპიადა კი გაიხსნება 26 აგვისტოს, როცა საზეიმო ცერემონია მოეწყობა და ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება.

პირველი დღის პროგრამაში შეტანილია შეჯიბრებები 21-დან 12 სახეობაში. მაყურებლებს ყველაზე რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუწევთ 29 და 31 აგვისტოს, როცა ჩატარდება შეჯიბრებები 17 სახეობაში. ყველაზე ხანგრძლივი იქნება მოკრივეთა და ბალახის ჰოკეის ოსტატთა ტურნირები, რომლებიც 13 დღეს გასტანს.

გამარჯვებულთა ყველაზე გვიანი დაჯილდოება მოეწყობა 8 სექტემბერს: კალათბურთელთა შორის ოქროს მედლების საკითხი ნაშუადღევს გადაწყდება.

ოლიმპიადის ბოლო დღეს, გარდა დახურვის ზეიმისა, გადაწყვეტილია ჩატარდეს ცხენოსანთა შეჯიბრება ეროვნებათა პრიზზე.

• • •

მიუნხენში ჩავლენ ის სპორტსმენებიც, რომლებიც მედლებზე პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. ესენი არიან საჩვენებელი გამოსვლების მონაწილენი საწყლოსნო თხილამურებით სრიალსა და ბადმინტონში. მოსალოდნელია, რომ კილში თავის ოსტატობას გვიჩვენებს 15 უძლიერესი წყალზე მოთხილამურე, ბადმინტონისტთა ტურნირი კი მიუნხენში ჩატარდება.

• • •

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საპატიო სტუმრებად მიიწვიეს ბევრი წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი. მათ შორის არიან საბჭოთა ძალოსანი ი. ვლასოვი, ლეგენდარული მორბენალი, ფინელი პ. ნურმი, ზანგი სპრინტერი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჯ. ოუენსი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების მარათონულ შეჯიბრებებში გამარჯვებული ა. ბიკილა (ეთიოპია) და სხვ.

• • •

მიუნხენში სპორტსმენებს, ჟურნალისტებსა და მაყურებლებს ინფორმაციებს მიაწვდის 5 ელექტრული გამომთვლელი მანქანა. ეს მანქანები არა მარტო მიმდინარე ან უკვე დამთავრებული შეჯიბრებების შედეგებს გააცნობენ მსურველებს, არამედ ვალდებული არიან „ყველაფერი იცოდნენ" მონაწილეებზე. მანქანებს უკვე ამარაგებენ შესაბამისი მონაცემებით, რაშიც შედის სპორტსმენთა ოჯახური მდგომარეობა, გატაცებები და ა. შ.

საანგარიშო ელექტრულმა დანადგარებმა უნდა იცოდნენ ყველა ოლიმპიური შეჯიბრების შედეგები, მსოფლიოს ყველა კონტინენტისა და ოლიმპიადების რეკორდები, აგრეთვე, ზოგადი ცნობები ბავარიის დედაქალაქის ოლიმპიურ ნაგებობებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებზე.

პრეს-ცენტრიდან ჟურნალისტებს შეუძლიათ შეკითხვები მისცენ გამომთვლელ მანქანებს. შეკითხვები ინგლისურ ან გერმანულ ენაზე უნდა დაიწერონ. მაგრამ მანქანის მოთმინების ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. საკმარისია რამდენიმე ისეთი შეკითხვა მისცეთ, რომლებზეც არაფერი ეცოდინება, რომ მყისვე საკმაოდ მკვახე ან დამცინავ პასუხს მიიღებთ.

* * *

ოლიმპიური სოფლის რესტორნები ერთი დღის მანძილზე დაახლოებით 12 ათას კაცს მოემსახურებიან. ამისთვის გათვალისწინებულია მოეწყოს დარბაზები 2700 ადგილით. ეს დარბაზები ხუთ ცვლად იმუშავებს შეჯიბრებებისა და საწვრთნელი მეცადინეობების ცხრილის შესაბამისად. რესტორნები დილის 6 საათზე გაიღება და ღამის ორზე დაიკეტება. უკვე ცნობილია არა მარტო მენიუ, არამედ ოლიმპიელთა მთელი რაციონიც. მაგალითად, ოლიმპიადის დღეებში დაიხარჯება დაახლოებით 149 ტონა ძროხის ხორცი, 39 ტონა ფრინველის ხორცი, 102 ტონაზე მეტი კარტოფილი, 11 ტონა ბრინჯი, 7 ტონა მაკარონი, 49 ტონა ბოსტნეული.

(საკდესი).



1936 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ერთბაშად ოთხი ოქროს მფლობელი, სახელგანთქმული ზანგი მძლეოსანი ჯესი ოუენსი (აშშ) მეხიკოს ოლიმპიადაშიც იყო მიწვეული საპატიო სტუმრად. ეს სურათი სწორედ მეხიკოშია გადაღებული. ჯ. ოუენსი გემოს გაუსინჯავს ოლიმპიური თამაშების მზარეულის მ. მარტინესის გაკეთებულ კერძს.

იუნაიტედ პრესის ფოტო.

## ახალი ამბები-72

● ჰელსინკი, 13 მარტი. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ბ. ნიუბერგის მემორიალში აქ მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენთაგან სამმა I ადგილი დაიკავა: მინსკელმა რ. ზელენკოვმა ყველას აჯობა ქვემსუბუქ წონაში (365 კგ), მოსკოველმა ვ. რიჟენკოვმა — საშუალო წონის კატეგორიაში (475), ასევე მოსკოველმა ი. კოზინმა — მძიმე წონაში (555). აი, დანარჩენი გამარჯვებულებიც: უმჩატეს წონაში — ფინელი ვ. კონტინენი (272,5), მჩატეში — პოლონელი ვ. შოლტისეკი (340), ქვესაშუალოში — პოლონელი ც. ბაშანოვსკი (425), ქვემძიმეში — პოლონელი ვ. გოლონბი (480), ზემძიმეში — ფინელი კ. ლაჰდენრანტა (570). მსუბუქ წონაში ორივე მოასპარეზემ — ფინელებმა კ. ლაკტინ და პ. პელკონენმა ნულები მიიღეს (14 მარტის ნომერში ჩვენ ვიუწყებოდით საბჭოთა ძალოსნის ბ. პავლოვის მსოფლიო რეკორდებზე. ხარკოველმა ათლეტმა ამ მაღალ შედეგებს მიაღწია არა სტოკჰოლმში, არამედ შვეციის ქალაქ ჰალმსტადში. — რედ.).

● კუსკიულსკიული (შვეცია), 13 მარტი. „მფრინავ მოთხილამურეთა" აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება ლენინგრადელმა ი. ქებლანოვმა მოიგო — 222,3 ქულა. II ადგილზეა შვედი ს. მაგნუსონი (207,9), ხოლო III — გორკელი ი. ქილცოვი (207,6). წინა საღამოს გამართულ შეჯიბრებაში (სარბიელი ხელოვნური შუქით იყო განათებული) ყველას აჯობა პეტროზავოდსკელმა ვ. კოზლოვმა — 189,0 ქულა.

● პარიზი, 13 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ცსკა-ს რაპირისტები ანგარიშით 5:9 დამარცხდნენ მელონის მოფარიკავეთა წრის წარმომადგენლებთან. პირადი შედეგები ასეთია: მელონის მოფარიკავეთა წრე — ბ. ტალვარი — 4 მოგება, ბ. ბოშერი — 3, დ. რევენიუ — 1, ი. ლეზერი — 1; ცსკა — ა. კოტეშევი — 2 მოგება, ვ. პუტიატინი — 2, ვ. დენისოვი — 1, ლ. რომანოვი — 0. ამრიგად, მელონელებმა ევროპის თასი შეინარჩუნეს.

● ხვარი, 13 მარტი. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, 19 წლის ვლადიმირელმა ტანმოვარჯიშემ ნ. ანდრიანოვმა ყველას აჯობა იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების აქ გამართულ ორდღიან მატჩში — 115,2 ქულა. მომდევნო სამ ადგილზეც საბჭოთა ტანმოვარჯიშეები არიან: ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი) — 113,50, ე. მიქაელიანი (ერევანი) — 112,95, გ. ბოგდანოვი (მოსკოვი) — 111,65. მასპინძელთა შორის, ისევე როგორც პირველ დღეს, საუკეთესო იყო მ. ვრატიჩი — 111,55. ასპარეზობისას დაშავდა ვორონეჟელი ა. ტრიფონოვი და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამიტომ საბჭოთა გუნდის ოთხი წევრი ხუთ მასპინძელს ებრძოდა რის გამოც გუნდურ ჩათვლაში იუგოსლაველებმა 26,05 ქულით აჯობეს სტუმრებს. მათ 544,45 ქულა დააგროვეს.

● კილი, 13 მარტი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გფრ-ში გამართული მეორე მატჩიც მოიგო, ამჯერად ანგარიშით 16:9 (9:5) სძლია ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს. გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი ბურთი (5) გაიტანა მაქსიმოვმა.

● ვოროშილოვგრადი, 14 მარტი. დამთავრდა სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა XXXIV ჩემპიონატი. ოქროს მედლები მეთხუთმეტედ მოიპოვეს ცსკა-ს სპორტსმენებმა. II ადგილი დაიკავა ვოროშილოვგრადის „ზვეზდამ" — 16 ქულა. ამდენივე ქულა დააგროვა III ადგილზე გასულმა ლენინგრადის „ავტომობილისტმა". შემდეგ მოდიან: ასკ (დონის როსტოვი), ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა), „ბურევესტნიკი" (ხარკოვი), „ლოკომოტივი" (კიევი), უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი), „რადიოტექნიკი" (რიგა), „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა), „კალევი" (მაარდუ), „დინამო" (ირკუტსკი).

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## 16 თუ 24?

5 მაისს ლონდონში სხდომა ექნება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტს. მისი მთავარი მოვალეობა გახლავთ მსოფლიო ჩემპიონატების მოწყობა.

საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა განიხილოს ერთი საკითხი: რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. დელეგატების ნაწილი მხარს უჭერს პროექტს, რომ ფინალის მონაწილეთა რიცხვი 16-დან 24-მდე გადიდდეს.



△ ჟენევა. გიგანტურ სლალომში ქალთა შორის შვეიცარიის ჩემპიონი გახდა 16 წლის ლ.-მ. მორეროდი — 1.18,56. საპოროს XI ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი მ.-ტ. ნადიგი მას 0,30 წამით ჩამორჩა.

△ სმედავი. საპოროს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ხელენა შიკოლოვამ ჩეხოსლოვაკიის ორგზის ჩემპიონობა მოიპოვა. მან აქ გამართულ ტურნირში ჯერ 5 კილომეტრზე რბოლა მოიგო (17.05), შემდეგ — 3×5 კმ-ზე ესტაფეტა.

△ მორზინი. ქალთა სპეციალურ სლალომში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა მ. ჟაკო. ი. მირი III ადგილზე გავიდა. მას აჯობა ქალიშვილებში ქვეყნის ჩემპიონმა კ. როლანმა.

## ორი წინადადება

ცნობილმა მექსიკურმა კლუბმა „კრუზ ასულმა" წინადადება მისცა რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოს" 500 ათას დოლარად დაუთმოს ჟაირზინიო. „ბოტაფოგოს" დირექტორატი ამ საკითხს გუნდის ევროპიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტს.

ამასობაში „კრუზეიროს" (ბელუ-ორიზონტი) პრეზიდენტმა წინადადებით მიმართა რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოს" ტოსტაოს გაყიდვის თაობაზე. „კრუზეიროც" იგივე თანხას — ნახევარ მილიონ დოლარს თხოულობს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზაზე

მძლეოსნობა. სპორტის სასახლე. 18 მარტი. საერთაშორისო შეჯიბრება რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის პრიზზე. მონაწილეობენ სსრ კავშირის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, რუმინეთისა და ბულგარეთის საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები. დასაწყისი 17 ს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ცურვის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი

**ელენე დავითის ასული ნებიერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04475